ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი № 4

ქალაქი ბათუმი **14.06.2021**

სხდომას ესწრებოდა მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. **დავით ქობულაძე** - შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მედიცინის მე-5 კურსის სტუდენტი
2. **მაყვალა კვირიკაძე** - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
3. **თამაზ თურმანიძე** - აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
4. **ალექსანდრე შერვაშიძე** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი;
5. **ციური ქათამაძე** - სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
6. **მანუჩარ ლორია** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
7. **რუსუდან შავიშვილი** - აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი;
8. **თამარ გუდავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
9. **ირმა აფხაზავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

დღის წესრიგი

1. დაგეგმილი ბიუჯეტის კორექტირებისთვის დასმული საკითხების განხილვა.
2. უცხოეთში სტუდენტთა სტაჟირების დაფინანსების საკითხი.
3. შშმ პირებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის განხილვა და დოკუმენტებში ზოგიერთი ტერმინის ჩანაცვლების საკითხი.
4. მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის ქვეპროგრამის სახელის გადარქმევის საკითხი.

საბჭოს წევრების მიერ დასმული საკითხები:

1. ინიციატივა საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტებისათვის სტიპენდიის დაწესების შესახებ;
2. ლუკა ასათიანის სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკითხის განხილვა;

3. საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტების რეესტრის შექმნის საკითხი;
4. ძალადობის მსხვერპლი ქალების 3 თვით ბინის უზრუნველყოფის საკითხი;
5. ძალადობის მსხვერპლი არასწრულწლოვანი ბავშვებისთვის კვალიფიციური ფსიქოლოგების მომსახურების დაფინანსების საკითხი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი სოფიო მიქელაძე;

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი მერაბ ქიძინიძე .

აზრი გამოთქვეს:

თამარ გუდავა: მოგესალმებით, დღეს მრჩეველთა საბჭოს რიგით მეოთხე შეხვედრაა და მინდა წარმოგიდგინოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. რამდენიმე კვირის წინ მერის მოვალეობის შემსრულებელთან გვქონდა შეხვედრა და შემდეგი სხდომისთვის უნდა გაგვეზიარებინა საკითები რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა ბიუჯეტის კორექტირებასთან. ერთერთი ასეთი საკითხია, უცხოეთში სტუდენტთა სტაჟირების საკითხი. ბატონო მერაბ, ხომ არაა დაგეგმილი ამ მიმართუელბით საკითხის განახლება?

მერაბ ქიძინიძე: უცხოეთში სტუდენტთა სტაჟირების დაფინანსებასთან დაკავშირებით ჯერჯერობით არ გვაქვს კონკრეტული გადაწყვეტილება. მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ამაშიც მსოფლიოში კოვიდ სიტუაციაა და ამ მიზეზით გამოწვეული ნაკლები მომართვიანობა.

ციური ქათამაძე: თუ სიტუაციის გამოსწორების პარალელურად მოხდება ამ მიმართულების დაფინანსება ქალაქის ბიუჯეტიდან, იქნებოდა ძალიან სასარგებლო. რაც უფრო მეტი სტუდენტი გავა საზღვარგარეთ და გაივლის სტაჟირებას მით უკეთესი, შესაბამისად არა მგონია თანხა მოვითხოვოთ და არ დააკმაყოფილონ.

მანუჩარ ლორია: როგორც ვიცი, განათლების სამინისტროში ეს პროგრამა არ გაუქმებულა, ვინაიდან ვარ შესაბამისი კომისიის წევრი და მომივიდა კონკრეტული შეტყობინება. თანაც ბევრ ახალგაზრდას აქვს სტაჟირების გავლის სურვილი საზღვარგარეთ.

რუსუდან შავიშვილი: წასვლის სურვილი რა თქმა უნდა იქნება, თუმცა ეს თემა დამოკიდებულია პანდემიით გამოწვეულ სიტუაციაზე და ვაქცინაციაზე. ივლისში და აგვისტოში შემოვა რამდენიმე მილიონი დოზა, სხვადასხვა სახეობის ვაქცინა, სამიზნე ჯგუფებისათვის და თუ 60% ვაქცინირებულთა რაოდენობას მივუახლოვდებით, შესაბამისად ახალ წელსაც მშვიდობიანად შევხვდებით.

მერაბ ქიძინიძე: სამწუხაროა, რომ საზღვარგარეთ მყოფ ბევრ სტუდენტთან არ გვაქვს კონტაქტი. გვქონდა ინიციატივა რომ დაწესებულიყო ტბელ აბუსერიძის სტიპენდია სწორედ ამ სტუდენტებისათვის. უცხოეთში სტაჟირების ბიუჯეტი წინა წელს იყო 40 ათასი ლარი, თუმცა ჩვენ ვაფინანსებთ მხოლოდ გზის ფულს - ლოჯისტიკის ხარჯებს.

დავით ქობულაძე: ლუკა ასათიანის სტიპენდიის მოსაპოვებლად საჭიროა ძალიან მაღალი ქულების აღება. კარგი იქნება, თუ მოხდება დიფერენციაცია ვინაიდან ზოგ ფაკულტეტზე მარტივია მაღალი ქულის აღება, ზოგიერთზე კი რთული. შესაბამისად რაღაც კრიტერიუმების შექმნა კარგი იქნებოდა.

მერაბ ქიძინიძე: ასათიანის სტიპენდია გადაეცემა პრიორიტეტული მიმართულების მქონე სტუდენტებს, თუმცა ეს განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ. წელს შეიცვალა და მკაცრად მოხდა სტიპენდიის განაწილება და ყველა ადგილი შეივსო მხოლოდ პრიორიტეტული მიმართულების მქონე სტუდენტებით.

ციური ქათამაძე: ვფიქრობ კარგი იქნება თუ შეიქმნება საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტების რეესტრი. მოხდა ფასეულობების გადაფასება და არის ტენდენცია, თავიანთი ცოდნა გამოიყენონ მხოლოდ პირადი კეთილდღეობისთვის, რამაც ამ პრგორამის დაფინანსების მნიშვნელოვნი პრიორიტეტი - ქვეყნის ინტერესი ჩაანაცვლა, რაც სამწუხაროა.

ირმა აფხაზავა: მე ვფიქრობ ამ პრობლემას მოაგვარებს სისტემური ცვლილება, რათა მიმზიდველი გახდეს საჯარო სექტორში მუშაობა. დიდი ხანია რაც საჯარო სექტორში ვმუშაობ და ვხედავ რომ ხდება კარგი კადრების გადინება, რასაც სამწუხაროდ მივიჩნევ, ვინაიდან მაქვს სურვილი კარგი კადრები დარჩეს აქ, თუმცა ისინი უპირატესობას ანიჭებენ საზღვარგარეთ ყოფნას. შეიძლება ადამიანი სადაც კომფორტულად გრძნობს თავს იქ უნდა იყოს, თუმცა მნიშვნელოვანია საჯარო სექტორის გაძლიერება პროფესიონალი კადრებით. თუ საჯარო სექტორს მიმზიდველს გავხდით ასეთ ადამიანებსაც დავაინტერესებთ.

თამარ გუდავა: ქალბატონო სოფო, ვის შეიძლება მივმართოთ რამინ მაჭარაშვილის მიერ შემოთავაზებულ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მოთხოვნაა რომ შეიცვალოს და ჩანაცვლდეს კონკრეტული ტერმინოლოგია. ინიციატივა იყო შემდეგნაირი: „შშმ პირთა მიმართ არსებული ისეთი დისკრიმინაციული, შეურაცმყოფელი, დამაკნინებელი და ნეგატიური კონტექსტის მატარებელი ტერმინების/სიტყვების ამოღება, როგორიცაა: ინვალიდი, დაინვალიდებული, საწოლს მიჯაჭვული და სხვა მსგავსი ტერმინები), რომლებშიც ჯერ კიდევ გამოიყენება შშმ პირის მიმართ უარყოფითი კონტექსტის მატარებელი ზემოაღნიშნული ტერმინები/სიტყვები და ჩანაცვლდეს ისინი უფრო მართებული სიტყვებით/ტერმინებით“.

სოფიო მიქელაძე: ეს საკითხი ცოტა სპეციფიკურია. მაგალითად, შეიძლება კონკრეტული ადამიანი იყოს საწოლს მიჯაჭვული, თუმცა არ იყოს შშმ პირი, ვინაიდან ის შესაძლოა იყოს ქრონიკული დაავადების მქონე. კონკრეტული ტერმინოლოგიის საშუალებით ხდება დიფერენციაცია, დაკონკრეტება. არსებობს შესაბამისი სტატუსის მინიჭების მკაცრი კონტროლი და არის შესაბამისი დოკუმენტი სადაც წერია თუ როგორ ხდება შშმ პირთა სტატუსის მინიჭება. ეს საკითხი გადასახედია და ასე გადაწყვეტილების მიღება რთულია.

მანუჩარ ლორია: ვფიქრობ, შეგვიძლია ბატონ რამინს ვთხოვოთ და შემოგვთავაზოს ვარიანტები, თუ რომელი ტერმინი შესაძლოა იყოს უფრო მისაღები. ასევე შეიძლება სხვა ქვეყნის მაგალითებითაც ვიხელმძღვანელოთ და ვნახოთ თუ რა ტერმინოლოგიას იყენებენ.

ირმა აფხაზავა: აღსანიშნავია ის, რომ ტერმინოლოგია უნდა ემთხვეოდეს სახელმწიფოს მიერ დაწესებულს, რათა შემდეგ არ მოხდეს ტერმინების არევა.

თამარ გუდავა: შემდეგი საკითხიც რამინ მაჭავარიანის მომართვითაა. კერძოდ: „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს მიეცეს რეკომენდაცია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მიერ შემუშავებულ ,,საკურორტო რეაბილიტაციის ქვეპროგრამას'' გადაერქვას სახელი და ეწოდოს ,,საკურორტო დასვენების'' ქვეპროგრამა."

რუსუდან შავიშვილი: რეაბილიტაცია მოიცავს რამდენიმე მიმართულებას. მაგალითად შეიძლება კურორტზე წავიდეს ადამიანი, არ ჰქონდეს მას რეაბილიტაციის სხვადასხვა სერვისებზე წვდომა, თუმცა იყოს ისეთ ადგილზე, ისეთი კლიმატურ პირობებში, რომ ეს თავად გულისხმობდეს რეაბილიტაციას და არა დასვენებას. სწორედ ეს ასპექტია გასათვალისწინებელი.

თამარ გუდავა: შემდეგი საკითხებია ფონდ „იალქანიდან" შემოსული. ეს გახლავთ: ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების 3 თვით ბინის უზრუნველყოფის საკითხს. თუ მერიამ გამოძებნა საშუალება, რომ უზრუნველყოს ძალადობის მსხვერპლი ქალები აღნიშნულით, კარგი იქნება თუ პარალელურად ქალაქის სოციალურ სამსახურებს ურთიერთობა ექნებათ კოლეჯებთან, პროფესიულ გადამზადების ცენტრებთან, რათა დავიწყოთ ძალადობის მსხვერპლი ქალების პროფესიული მომზადება-გადამზადება, რომლის შემდეგი ეტაპი იქნება მათი დასაქმება. ამაში შეიძლება ჩავრთოთ მესამე მხარე - დასაქმების სააგენტო, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გამოიძებნოს ამ ქალბატონებისთვის სამუშაო ადგილები, რომელიც უზრუნველყოფენ მათ შემოსავლით. სამი თვის გასვლის შემდეგ, (საცხოვრისის დატოვების შემდეგ), მათ თავად რომ შეძლონ უზრუნვლყონ საკუთარი ცხოვრების ხარჯები და მათ შორის საცხოვრებელიც.

სოფიო მიქელაძე: ჩვენ შევიტანეთ რამდენიმე ცვლილება. ქირით უზრუნველყოფა შესაძლებელია იქნეს განხილული. რაც შეეხება სამსახურით უზრუნველყოფას, სამწუხაროდ იყო შემთხვევები, როცა მათ უარიც კი უთქვამთ.

თამარ გუდავა: ქალბატონო სოფო, კიდევ გვაინტერესებს საკითხი, რომელიც ასევე ფონდ 'იალქანის" მიერაა ინიცირებული. არის თუ არა რომელიმე პროგრამაში გათვალისწინებული საჭიროების მიხედვით არასწულწლოვანი ბავშვებისთვის ფსიქოლოგების დაფინანსების საკითხი.

სოფიო მიქელაძე : კონკრეტულად ამ მიმართუელბით არ გვაქვს, თუმცა გვაქვს ბავშვების ადრეული განვითარებისა და განვითარების შეფერხების მიმართულებით გათვალისწინებული პრობლემური საკითხები პროგრამაში, რომელსაც ვახორციელებთ 12 სხვადასხვა სერვის-ცენტრში, იგეგმება რაოდენობის გაზრდა, თუმცა მაინც არის კვალიფიცირებული პერსონალის დეფიციტი.

თამარ გუდავა: როგორც იცით ბევრი პრობლემა ამ იმართულებით სწორედ ამ ფონდში იყრის თავს, სადაც კეთდება რეალური საქმე, მე ხშირად ვარ ფონდის სტუმარი. აქედან გამომდინარე ვიცი მათი კონკრეტული საჭიროებების შესახებ.

თამაზ თურმანიძე: ყველა პრობლემა იწყება განათლებიდან, უფრო სწორედ განათლების სიმცირისგან. თუკი სადმე ადამიანი დასაქმდა, თუმცა მისი კომპეტენცია არ შეესაბამება მის პოზიციას, იქნებ ამ მიმართულებით მოვახერხოთ რამის შეცვლა. გავცეთ ჩვენ რეკომენდაცია, რომ შემუშავდეს სასწავლო პროგრამა, თუნდაც სოც-მუშაკების გადამზადების საკითხში. თუ საჭირო გახდა ევროპიდან ჩამოვიყვანთ ამ მიმართულებით მაქსიმუმის მცოდნე პროფესიონალებს. როგორც ვიცით, ამ მიმართულებით ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს, ამიტომ სწორედ ამ საკითხების ირგვლივ რეკომენდაცია იქნებოდა მნიშვნელოვანი. ასევე სწორი იქნება, თუ გაკეთდება მიზნობრივი კვლევა, რომელიც ნათელს გახდის რა სჭირდებათ ამ მიმართულებით მომუშავე ფონდებს და ორგანიზაციებს, მათი მოთხოვნები იქნება გამყარებული სწორედ ამ კვლევით.

თამარ გუდავა: გეთანხმებით ბატონო თამაზ, ეს იქნება ძალიან სწორი და მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც ნათელს გახდით იმ საჭიროებების შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაც უნდა მოხდეს სწორედ ამ პროგრამების საფუძველზე. თუმცა ეს უნდა მოხდეს საკმაოდ სწრაფად, ამ ორგანიზაციებს და მათ ბენეფიციარებს საჭიროებები უდგათ ახლა.

სოფიო მიქელაძე: მიზნობრივი კვლევის შედეგების შემდეგ გამოვლინდება საჭიროებები, რაც გახდება ყველაზე დიდი საფუძველი პროგრამებში ცვლილებების.

თამარ გუდავა: დიდი მადლობა ყველას, დღევანდელი ჩართულობისთვის, ამ საკითხების შესახებ რეკომენდაციებს ჩვენ მივწერთ ქ. ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ არჩილ ჩიქოვანს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი 14.06.2021

სარეგისტრაციო ფურცელი

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

N	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1	აფხაზავა ირმა	წევრი	
2	აფხაზავა ნათია	წევრი	—
3	გუდავა თამარ	თავმჯდომარე	
4	თურმანიძე თამაზ	წევრი	
5	ინაიშვილი ნინო	წევრი	—
6	კვირიკაძე მაყვალა	წევრი	
7	ლორია მანუჩარ	წევრი	
8	მაჭარაშვილი რამინ	თავმჯდომარის მოადგილე	—
9	მეიშვილი თამილა	წევრი	—
10	ნაკაშიძე ლაშა	წევრი	—
11	ქათამაძე ციური	წევრი	
12	ქობულაძე დავით	წევრი	
13	შავიშვილი რუსუდან	წევრი	
14	შერვაშიძე ალექსანდრე	მდივანი	